ოქმი:**ო37. 3722332001**

თარიღი:**28/11/2022**

ოქმი N 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2022 წელი, 25 ნოემბერი

ქ. ოზურგეთი

11.00 -13 .30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: პ. კიღურაძე, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ბ. მელუა, შ. თავდიშვილი, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, რ. დუმბაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- გ. ღურჯუმელიძე, მოადგილე-ნ. გოლიაძე.

საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 34-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 34-ხმით.

დღის წესრიგი

32.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34 - ხმით.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დასვა შეკითხვა-ხომ არ იგეგმება საჯარო აუქციონის ჩატარება? უპასუხეს-ამ ეტაპზე არა.

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ლავრენტი ბიგვავა

საკრებულომ ანგარიში მიიღო ცნობად.

საკრებულოს წევრმა პარტია“ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ თ. ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ 3 მილიონ ლარზე მეტია დახარჯული სპორტულ ღონისძიებებზე, რაგბის სტადიონი კი კვლავ მოუწესრიგებელია, საჭიდაო არენა მძიმე მდგომარეობაშია, ადრე დაანონსებულ სოფელ ბახვის ერთ უბანში მილხიდი ისე მოაწყვეს, რომ ტრანსპორტი ვერ მოძრაობს. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ ეს შეკითხვები არ ექნებოდა ანგარიშს კარგად რომ გაცნობოდა. რაგბის სტადიონის რეაბილიტაციაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ზრუნავს, ამჟამად მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, შედგება ხარჯთაღრიცხვა და მომავალი წლიდან დაიწყება თანამედროვე რაგბის სტადიონის მშენებლობა.

საკრებულოს წევრმა პარტია“ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ რ.დუმბაძემ განაცხადა, რომ დაბა ლაითურში გადასახურავია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.

53.3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,ძმობის“ სახელის მინიჭების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33 - ხმით.

54.4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,მთისბროლის“ სახელის მინიჭების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33 - ხმით.

55.5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,თამარ მეფის“ სახელის მინიჭების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33 - ხმით.

56.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,მაგნეტიტის“ სახელის მინიჭების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33 - ხმით.

57.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,მეგობრობის“ სახელის მინიჭების შესახებ **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33 - ხმით.

58.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,გაბრიელ ეპისკოპოსის“ სახელის მინიჭების შესახებ **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33 - ხმით.

59.9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,შოთა გოგუაძის“ სახელის მინიჭების შესახებ **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33 - ხმით.

10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა - ხმით.

პროექტი დაუბრუნდა მუნიციპალიტეტის მერიას.

60.11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პაატა კიღურაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24- ხმით.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ გამოაქვეყნა ხმის დათვლის ოქმი, რომლითაც გელა ჩავლეშვილმა მიიღო 24 სასარგებლო ხმა, წინააღმდეგი არცერთი, ამდენად საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ.ჩავლეშვილი.

12. სხვადასხვა.

განცხადებები გააკეთეს: გელა ჩავლეშვილმა-მადლობა გადაუხადა კოლეგებს ნდობის გამოცხადებისათვის, განაცხადა, რომ ის და ე. გორდელაძე კვლავ რჩებიან უმრავლესობის მხარდამჭერები, იმისთვის არჩიეს „ხალხის ძალაში“ გადასვლა-უფრო თავისუფლად შესძლებოდათ განსხვავებული აზრის გამოხატვა ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, აღნიშნა, რომ არ არიან ქვეყნის ევროპული მომავლის და სტრატეგიულ პარტნიორთან-ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის წინააღმდეგნი, მაგრამ რაც ქვეყნის საზიანოა, მასზე უნდა ითქვას. განცხადებით გამოვიდა და კოლეგის აზრი გაიზიარა საკრებულოს წევრმა ე. გორდელაძემ.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა მადლობა გადაუხადა ფრაქციის წევრებს ბიუჯეტის პროექტის განხილვაში აქტიური მონაწილეობისათვის, გააკრიტიკა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები შ. თავდიშვილი და თ. ნიკოლაშვილი, იმის გამო რომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი, შეეცადნენ დებოშის მოწყობას და სხდომის ჩაშლას, შემდეგ ისაუბრა მუნიციპალიტეტში უახლოეს დროში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე და ხაზი გაუსვა მათ ორგანიზებასა და თანხების მოზიდვაში როგორც მერის ავთანდილ თალაკვაძის, ასევე საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერის არჩილ თალაკვაძის დამსახურებას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ მიღწევები, რომელიც მუნიციპალიტეტს აქვს გუნდური მუშაობის შედეგია, გუნდი აღმოჩნდა ძლიერი და შედეგებზე ორიენტირებული, ხაზი გაუსვა გუნდის ახალგაზრდული ფრთის სიძლიერეს, კოლეგებს მოუწოდა არ აჰყვნენ ოპონენტების გამოხდომებს, შეინარჩუნონ სიმშვიდე, აღნიშნა გუნდის წევრის გ. ღურჯუმელიძის მისამართით

ოპონენტების მიერ გამოთქმულ უსაფუძვლო და უხამს ბრალდებებზე, რომელსაც იგი ნამდვილად არ იმსახურებს, გიორგი ღურჯუმელიძე არის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ერთ-ერთი გამორჩეული საჯარო მოხელე და მენეჯერი, ისევე როგორც მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ თალაკვაძე.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი